

კარდენახის საბაწმინდის მონასტრის ისტორია
(VI – XIX სს.)

დათო ტაბახელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების
ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეიმურაზ ჯოჯუა, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და
ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, ბატონ გიორგი გვალას
ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების
მაგისტრანტის დათო ტაბახმელაშვილის

განაცხადი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დათო ტაბახმელაშვილი

2020

აბსტრაქტი

ნაშრომი „კარდენახის საბაწმინდის მონასტრის ისტორია (VI – XIX სს.)“ წარმოადგენს დასახელებული მონასტრის ერთიანი ისტორიის წარმოჩენას შესაბამისი პერიოდის ფარგლებში.

ნაშრომში განხილულია კარდენახის საბაწმინდის მონასტრის დაარსების ისტორია და მისი განვითარების ეტაპები. ამ სამონასტრო კომპლექსის შესახებ წარმოჩენილია უამრავი საინტერესო ინფორმაცია, რომელიც აქამდე უცნობი იყო, რაც, ვფიქრობთ, ყურადსაღები და მნიშვნელოვანია, როგორც ისტორიით დაინტერესებული პირებისთვის, ასევე ამ მონასტრის ისტორიის კვლევის შემდეგი ეტაპისთვის.

ნაშრომში განხილულია მონასტრის დაარსების ისტორია; ასევე განხილულია მისი განვითარების ეტაპები, რაც გულისხმობს უფრო სამშენებლო ხასიათის განვითარებას. გვიანი შუა საუკუნეებიდან მონასტრის შესახებ კიდევ უფრო მეტ ინფორმაციას ვიღებთ სხვადასხვა საკითხთან დაავშირებით.

Abstract

My thesis, 'the History of St. Saba Monastery in v. Kardenakhi (6 th –19 th centuries)', aims at highlighting the overall history of the aforementioned church within the respective period. A great deal of interesting information, which has been unknown thus far about this monastery complex, is highlighted herein. And this, in my opinion, is interesting and important for persons interested in history, as well as for the next stage of the research of history of the monastery. The thesis reviews the history of foundation of the Monastery and the stages of its development, more in terms of construction. Looking into the late middle ages, we derive still more information about the Monastery in relation to various points.